

დანართი №1

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (30 03)

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა - შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველო

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი¹ - ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

განმახორციელებელი - შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	11648.0	10978.2	10844.2	98.8	139470.7

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;

- საანგარიშო პერიოდში ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, 2021 წელში განხორციელდა 174 538 გასვლა;
- მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარითული და სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ასევე ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული ახალი კორონა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებში, შესაბამისად აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული მოსამსახურეებისათვის საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა ვირუსისგან დამცავი სხვადასხვა საშუალებები (ნიღბები, ხალათები, ანტიბაქტერიული საშუალებები, ხელის სადეზინფექციო ხსნარები, სამედიცინო სათვალეები) და განხორციელდა მათი კვებით უზრუნველყოფა.

¹ ივსება იმდენ პროგრამაზე, რამდენ პროგრამასაც მოიცავს მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტი წლიური ბიუჯეტის კანონით.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები²

- მეტად დახვეწილი და გამართული დაცვითი მომსახურება;
- თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვილი დასაცავი ობიექტები;
- თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილების და ინკასაციის ჯგუფები ასევე დასაცავი ობიექტები;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რეაბილიტირებული და აშენებული დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები³

- გამართული დაცვითი მომსახურება;
- განახლებული ცენტრალური დაკვირვების პულტის მოძველებული ტექნიკური საშუალებები თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით;
- შეძენილი 1 ერთეული დაჯავშნილი სატვირთოს ტიპის ავტომანქანა, შეძენილი 25 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა, შეძენილი 30 ერთეული ოპერატიული დანიშნულების, სპეციალიზირებული (პიკაპი) ტიპის ავტომანქანა.
- დასაცავი ობიექტებისათვის 134 ცალი გარემონტებული დაცვის ჯიხური.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები⁴

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი⁵ - სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი მიმდინარე პერიოდში ახორციელებს 14 035 ობიექტის დაცვას. აქედან, საპოლიციო ძალით დაცულია 769 ობიექტი მ.შ: 114 ობიექტი საბიუჯეტო დაფინანსებაზე არსებული, ტექნიკური საშუალებებით – 13 033 ობიექტი, შერეული დაცვა (საპოლიციო ძალით და ტექნიკური საშუალებებით ერთდროულად) ხორციელდება 233 ობიექტზე. პირადი დაცვით უზრუნველყოფილია 257 ფიზიკური პირი. GPS-ით დაცული ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 3 054 ერთეულს.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი⁶ - 5%-ით გაზრდილი არსებული მაჩვენებელი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს 15 030 ობიექტის დაცვას. აქედან, საპოლიციო ძალით დაცულია 853 ობიექტი, ტექნიკური საშუალებებით – 13 930 ობიექტი, შერეული დაცვა (საპოლიციო ძალით და ტექნიკური საშუალებებით ერთდროულად) ხორციელდება 247 ობიექტზე. პირადი დაცვით უზრუნველყოფილია 271 ფიზიკური პირი. GPS-ით დაცული ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 3 287 ერთეულს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე⁷ - ცდომილება 2%. გაზრდილია დასაცავი ობიექტები, 5%-ის ნაცვლად 7%-ით, ვინაიდან გაიზარდა მოთხოვნა დაცვის პოლიციის მომსახურებაზე.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი⁸ - დღევანდელი მდგომარეობით AES და SIS სისტემური და პროგრამული მომსახურება უზრუნველყოფს საქართველოს მასშტაბით 13 000-ზე მეტი აბონენტის (გადამცემის) გამართულ მუშაობას, თანამედროვე ციფრული რადიო კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფილია ქ. თბილისი და მისი შემოგარენი, აჭარის რეგიონი, ინკასაციის სამმართველო, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველო და ოპერატიული რეაგირების ჯგუფები. დღევანდელი მდგომარეობით ჯამური ლიცენზიების რაოდენობა (თბილისი და რეგიონები) შეადგენს 23 500-ს.

დეპარტამენტსა და რეგიონებში ტექნიკურად მოძველებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, ხარვეზით მუშაობს ობიექტებზე დამონტაჟებული გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები.

არსებული სიგნალების მიმღებ-გადამცემი გამაძლიერებელი სისტემა ჩასანაცვლებელია ციფრული სიგნალების მიმღებ-გადამცემი IP სისტემით.

დაცვითი-ტექნიკური საშუალებებით დაცვაში არსებული ობიექტები, რომელთა ტექნიკური საშუალებებით დაცვა ხორციელდება GSM გადამცემებით არ არის ცენტრალიზებული, არ აქვს აღრიცხვის და მონიტორინგის სისტემა (ინფორმაციის მიღება ხდება მობილური ტელეფონით).

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი⁹ – აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონებში სამმართველოებში გადაიარაღებული დაცვის ტექნიკურის საშუალებებით დაცვის სისტემის ინფრასტრუქტურა (6 სპეციალიზირებული ციფრული IP გარდმაქნელი, 8 საჭაერო მიმართული სარალო გადამცემის ანტენა და დამატებითი აქსესუარები სისტემის გამართული მუშაობისათვის) გაზრდილი დაფარვის ქსელის და

ჩანაცვლებული არსებული რეპიტერული სისტემა ციფრული IP მიმღები სისტემით ჩანაცვლების მიზნით.

განახლებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემები (ანალოგური სისტემების ციფრული სისტემებით ჩანაცვლება, პერიმეტრის კონტროლის სისტემა).

დეპარტემენტის მამტაბით გადაიარაღებული ქსელური და სასაერვერო ინფრასტრუქტურა ინფრასტრუქტურა, (2 სპეციალიზირებული ქსელური კომპლექტში, 36 საჰაერო მიმართული სარალო გადაცემის ანტენა, 6 სპეციალიზირებული სერვერი და დამატებითი აქსესუარები სისტემის გამართული მუშაობისათვის).

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების დონის ამაღლების და სასერვერო ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით შევიძინეთ 5 სერვერი და 2 ქსელური ეკრან, შედეგად განახლდა არსებული სერვისები (საბუღალტრო, ხელშეკრულებების აღრიცხვა, ონლაინ გადახდების სერვისი, დაცვის პოლიციის ვებ საიტი, შიდა ფაიულირი სისტემები, 125 ცხელი ხაზის სატელეფონო სერვისი და ა.შ)

დაცვის ტექნიკური საშუალებებით დაცვის სისტემის განახლების და დაფარვის ზონის გაზრდის მიზნით შეძენილი იქნა 2 ცალი ცენტრალური სერვერი, 5 ცალი ცენტრალური გარდმქნელი და სხვადასხვა უკაბელო კავშირის მოწყობილობა. თბილისის ცდპ (ცენტრალური დაკვირვების პუნქტი) სისტემა სრულად განახლდა, კერძოთ შეიცვალა ცენტრალური სერვერი, დაემატა გარდამქნელები სტრატეგიულ სიმაღლეებზე გაზრდილი დაფარვის ქსელი და ჩანაცვლდა არსებული რეპიტერული სისტემა ციფრული IP მიმღები სისტემით; თბილისის მერიის შენობის სახურავზე, თბილისის სტელევიზიო ანძაზე, მახათას მთაზე განლაგებულ სსპს-ის ანძაზე. უკვე ექსლუატაციაში არსებულ გარდამქნელებს ჩაუტარდათ პროფელაქტიკური სამუშაოები (განახლდა ანტენები, კაბელები და დენის გაყვანილობა).

სამცხე-ჯავახეთი რეგიონში დასრულდა ჩვენი საკუთარი საჰაერო ქსელის აწყობა, ახალქალაქში, ბორჯომში და ბაკურიანში ჩაირთო ჩვენი ინტერნეტი (შეგვიძირდა ყოველთვიური ინტერნეტის გადასახდი 1178 ლარით). რეგიონალურ ცდპ სისტემას დაემატა მიმღებები და გამძლიერებლები, რის შედეგადაც დაიფარა მთლიანი რეგიონი და ჩანაცვლდა არსებული რეპიტერული სისტემა ციფრული IP მიმღები სისტემით.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აიწყო ჩვენი საკუთარი საჰაერო ქსელი, შედეგად ზუგდიდის, ოზრუგეთის, სენაკის და მესტიის რაიონში დაემატა ცდპ გარდამქნელები, გაიზარდა დაფარვის ქსელი და ჩანაცვლდა არსებული რეპიტერული სისტემა ციფრული IP მიმღები სისტემით, ზუგდიდის განყოფილებაში საჰაერო ქსელით გახდა შესაძლებელი ინტერნეტის მიწოდება (ყოველთვიური დანახოვი 589 ლარი).

დაცვაში არსებულ ობიექტებთან რეგიონალური სამმართველოების და ცენტრალური მართვის პულტთან ოპერატიული რეაგირების ჯგუფების კავშირის გაუმჯობესების მიზნით 2021 წელს შეძენილ იქნა MOTOROLA TETRA სისტემის შემდეგი მოწყობილობები: 10 ცალი საბაზო რადიოსადგური, 90 ცალი საავტომობილო რადიოსადგური, 450 ცალი ხელის რადიოსადგური.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე⁷ - ცდომილება 3%.

აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა, სამეგრელო-ზემოსვანეთის რდპ სამმართველოებში და თბილისში AES და SIS სისტემური და პროგრამული მომსახურების უზრუნველყოფა შესრულდა 100%, ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურა ინფრასტრუქტურა (6 სერვერის, 8 საჰაერო მიმართული სარალო გადაცემის ანტენა, 2 სპეციალიზირებული

ქსელური ეკრანი და დამატებითი აქსესუარები სისტემის გამართული მუშაობისათვის) გადაიარაღდა 100% , გაიზარდა დაფარვის ქსელი და ჩანაცვლდა არსებული რეპიტერული სისტემა ციფრული IP მიმღები სისტემით 100%. განახლებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემები , ანალოგური სისტემების ციფრული სისტემებით ჩანაცვლება, პერიმეტრის კონტროლის სისტემა 50% (პანდემიის გამო ვერ მოხერხდა საჭირო ტექნიკის დროული შეძენა).

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი⁵ - დღეის მდგომარეობით სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულია 250 მსუბუქი ავტომობილი, 78 მაღალი გამავლობის, 9 სამგზავრო (ავტობუსი, მიკროავტობუსი), 1 სატვირთო ავტომობილი, 126 ბრონირებული მანქანა, 2 სპეცტექნიკა (ევაკუატორი), 27 მცირე ტვირთამწეობის ფურგუნი. ზენორმატიული დატვირთვის გამო ინკასაციის მანქანები ხშირად გამოდის მწყობრიდან, ასევე ოპერატიული რეაგირების მანქანები მიეკუთვნება მაღალი რისკის ჯგუფს და ხდებიან ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილეები, შესაბამისად, ვარგისია ექსპლუატაციისათვის ინკასაციის მანქანების 60%, ხოლო ოპერატიული რეაგირების ჯგუფის მანქანების - 100%.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი⁶ - შეძენილი 10 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანა (არსებული ბაზის 8 %-ით განახლება), შეძენილი 10 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (არსებული ბაზის 10 %-ით განახლება), შეძენილი 5 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა (არსებული ბაზის 6%-ით განახლება). შეძენილი 10 ერთეული სამგზავრო ტიპის მცირე ტვირთამწეობის ფურგუნი (არსებული ბაზის 37 %-ით განახლება)

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილი ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისათვის 1 ერთეული დაჯავშნილი სატვირთოს ტიპის ავტომანქანა, ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებისათვის შეძენილი 25 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა, შეძენილი 30 ერთეული ოპერატიული დანიშნულების, სპეციალიზირებული (პიკაპი) ტიპის ავტომანქანა. (აქედან, 20 ერთეული გადაცემული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, 6 ერთეული - შეიჯავშნა ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისთვის, ხოლო 4 ერთეული - გადაეცა საავიაციო უშიშროების სამმართველოს).

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე⁷ - ცდომილება 3 %.

შესაძენი 10 ერთეული დაჯავშნილი ავტომანქანის ნაცვლად შეძენილ იქნა 1 ერთეული დაჯავშნილი სატვირთოს ტიპის ავტომანქანა და 6 ერთეული სპეციალიზირებული (პიკაპი) ტიპის ავტომანქანა (შემდგომ განხორციელდა შეჯავშნა). ვინაიდან, ინკასაციის სამმართველოში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საინკასაციო ოპერაციები, როგორც საქალაქთაშორისო მიმართულებებზე, ასევე ქ.თბილისში. განსაკუთრებით მონეტების ინკასაცია, რომელიც თითქმის გაორმაგებულია. ანალოგიური საინკასაციო ოპერაცია ყოველდღიურად სრულდება სს „საქართველოს ბანკი“-ს დაკვეთით, რისთვისაც გამოიყენება 4-5 ერთეულ დაბალი ტვირთამწეობის (530 კგ. და 1330კგ.) „ფორდ ტრანზიტი“-ს მარკის ა/მანქანები. აღნიშნული ოპერაციის შესასრულებლად საჭიროა 12-15 თანამშრომლის მონაწილეობა. მიზანშეწონილია გადასატანი ფულადი სახსრები და ფასეულობა თავმოყრილი იყოს 1 მაღალი ტვირთამწეობის (სატვირთოს ტიპის) ა/მანქანაში. საინკასაციო კეისების სიმძიმის გამო ხშირია ა/მანქანების დაზიანების ფაქტები, რის გამოც შეფერხებით სრულდება ოპერაციები, რაზეც დამკვეთი გამოთქვამს უკმაყოფილებას. ასევე, დაემატა სს „ლიბერთი ბანკი“-ს საპენსიო თანხების ინკასაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით და მსხვილი

ბანკების ფულის საცავები. შესაბამისად, ბანკები გაზრდილი ინტენსივობითა და თანხების მოცულობით ითხოვენ ხშირ საბანკო ოპერაციებს, საცავებიდან სხვადასხვა ქალაქის მიმართულადა.

ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებისათვის შესაძენი 10 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის ნაცვლად შეძენილ იქნა 25 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა. ვინაიდან, გაზრდილია ტექნიკური საშუალებებითა და ცოცხალი ძალით დაცული ობიექტების რაოდენობა (აღნიშნული ავტომანქანებით ხორციელდება ოპერატიული რეაგირების ჯგუფების მიერ პულტზე შემოსულ განგაშებზე რეაგირება, ასევე ცოცხალი ძალით დაცული ობიექტების მონიტორინგი 24 საათიან რეჟიმში.). გაზრდილია მაღალი რისკის შემცველი მოძრავი ტვირთების, არაგაბარითული ტვირთების, სპეცდანიშნულების ტვირთების (ფეთქებადი საშუალებების), მედიკამენტების (ნარკოტიკული საშუალებების), სამუზეუმო ექსპონატებისა და სტუმრების დაცვა-გაცილების მომსახურება.

შესაძენი 5 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანის ნაცვლად შეძენილ იქნა 4 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა. რთული რელიეფური, კლიმატური პირობების გათვალისწინებით აღნიშნული ავტომანქანები გადანაწილდა მესტიისა და ამბროლაურის საავიაციო უშიშროების ქვეგანყოფილებებზე, აეროპორტის პერიმეტრის კონტროლის მიზნით. მაღალი გამავლობის ავტომანქანები მიეკუთვნება რისკის ჯგუფს, რადგან ხშირია მათი ექსტრემალურ პირობებში მართვა, რის გამოც სატრანსპორტო საშუალებები ხშირად გამოდის მწყობრიდან და საჭიროებს ხანგრძლივ რემონტს.

დასაცავ ობიექტებზე ცენტრალური დაკვირვების პულტის სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისათვის სამგზავრო ტიპის მცირე ტვირთამწეობის ფურგუნის შეძენა საჭიროებას არ წარმოადგენდა.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი⁵ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე დღეის მდგომარეობით ირიცხება 54 შენობა-ნაგებობა, საიდანაც 32 შენობა აკმაყოფილებს სამუშაო პირობებისთვის საჭირო მოთხოვნებს, ხოლო დარჩენილი 22 შენობა სარემონტოა (მ.შ. 9 საჭიროებს კოსმეტიკურს, ხოლო 13 – კაპიტალურ რემონტს).

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი⁶ - გარემონტებული დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის I - II სართული და კიბის უჯრედები, კახეთის რძუს ადმინისტრაციული შენობა, კახეთის რძუს საგარეჯოს განყოფილების შენობის ნაწილი, ქ.თბილისის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რძუს მესტიის ადმინისტრაციული შენობა, გარემონტებული იმერეთი-გურიის რძუს საჩხერე-ჭიათურის ქვეგანყოფილების შენობა; დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში აშენებული საწყობი; დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის შეღებილი ფასადი; რეაბილიტირებული დეპარტამენტის ეზო; დასაცავი ობიექტებისათვის 10 ცალი შეძენილი და 160 ცალი გარემონტებული დაცვის ჯიხური

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დასაცავი ობიექტებისათვის 134 ცალი გარემონტებული დაცვის ჯიხური.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე⁷- ცდომილება 90 %.

შენობა-ნაგებობების რემონტები, ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გადაიდო 2022 წლის პროექტებში.

² პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ საბოლოო შედეგებს.

³ ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის, ხოლო თუ დაგეგმილი საბოლოო შედეგი მიიღწევა საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგის პროგრესი საანგარიშო პერიოდისთვის.

⁴ ივსება იმ რაოდენობაზე, რაც წარმოდგენილია წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში. მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორების ნაწილში დამატებით ინფორმაციის მითითების აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნული უნდა მიეთითოს ცალკე დაგეგმილი საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლის გარეშე.

⁵ დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში საბაზისო მაჩვენებელს.

⁶ დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში მიზნობრივ მაჩვენებელს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე⁷

1.1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი⁸ -----

განმახორციელებელი -----

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

დაგეგმილი შუალედური შედეგები⁹

მიღწეული შუალედური შედეგები¹⁰

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები¹¹

⁷ ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში,,

⁸ ივსება იმდენ ქვეპროგრამაზე, რამდენ ქვეპროგრამასაც მოიცავს თითოეული პროგრამა წლიური ბიუჯეტის კანონით.

⁹ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შუალედური შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ შუალედურ შედეგს.

¹⁰ ივსება დაგეგმილი შუალედური შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის.

¹¹ ივსება იმ რაოდენობაზე, რაც წარმოდგენილია წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში. მიღწეული შედეგების საბოლოო შეფასების ინდიკატორების ნაწილში დამატებით ინფორმაციის მითითების აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნული უნდა მიეთითოს ცალკე, დაგეგმილი საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლის გარეშე.

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი¹²

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი¹³

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე¹⁴

შენიშვნა:

- იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შესრულება წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების შესრულების ნაწილს, ან/და შესაბამის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, მათ შორის, შესაბამისი სექტორული ან სხვა სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების ნაწილს, მნიშვნელოვანია, რომ შესრულებაში მიეთითოს აღნიშნული ინფორმაცია, შესაძლებელია ეს ინფორმაცია შინაარსის მიხედვით მიეთითოს როგორც განხორციელებული ღონისძიებების აღწერის ნაწილში, ისე მიღწეული შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების ნაწილში.

- შესრულების ანგარიშში უნდა მიეთითოს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შესაბამისობა გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მიზნებთან

- 2030, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური (ეკონომიკური) სამსახურის უფროსი“.

¹² დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში საბაზისო მაჩვენებელს.

¹³ დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში მიზნობრივ მაჩვენებელს.

¹⁴ ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში.